ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №789674

ნომერი: AR1142761

თარიღი : 28.06.2013

გაცემის თარიღი : 12.07.2013

გაცნობის თარიღი : 15.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , (ნაკვ.01/113) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია ალექსიადის პ/ნ 01009002335
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 27"ბ" ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურის 19.07.2012 წ. #251497 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურს 28.06.2013 წ. #AR1142761 განცხადებით მომართა დამკვეთმა

ნათია ალექსიადისმა და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ 19.07.2012 წ. #251497 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 19.07.2012 წ. #251497 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ისანი), წინანდლის ქ. #9–ში, (ნაკვეთი #01/113)–ში, შ.პ.ს. კად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სამედიცინო დანიშნულების (საავადმყოფო) ობიექტის არქიტექტურული პროექტი. წარმოდგენილი განცხადებისა და განმარტებითი ბარათის მიხედვით ირკვევა, რომ დამკვეთის მიერ ტექნიკური შეცდომა იყო დაშვებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: არასრულად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შეთანხმებული არქიტექტურული ნახაზების გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ, განმცხადებლის მიერ არასრულად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეიტანოს ცვლილება ან დამატება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სხვადასხვა სართულზე არსებული ფართების დაფიქსირება მოხდა არასრულად, რამაც გამოიწვია ცდომილება ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ასევე რადგანაც ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 19.07.2012 წ. #251497 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართი 2329.3 კვ.მ.
- საოფისე ფართი 294.8 კვ.მ.
- კომერციული ფართი 12.1 კვ.მ.
- სასაწყობე ფართი 15.1 კვ.მ.
- პალატების ფართი 421.7 კვ.მ.
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 158.4 კვ.მ.
- საორდინატორო და საოპერაციო ფართი 1029.9 კვ.მ.
- დამხმარე ფართი 397.3 კვ.მ.;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 19.07.2012 წ. #251497 ბრძანებასთან ერთად;

3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.